პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 145 (3122)

28 1966 წ. ივლისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი



ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე დღეა სტუმრად არიან იაპონელი მთამსვლელები. ეს არის ამომავალი მზის ქვეყნის ალპინისტთა საპასუხო ვიზიტი. ამას წინათ იაპონიაში იყო ქართველ მთამსვლელთა ჯგუფი, რომელმაც იაპონელ კოლეგებთან ერთად ერთობლივი ასვლა განახორციელა ფუძიამას მთაზე. და აი, იაპონელი სპორტსმენები ჩვენი რესპუბლიკის სტუმრები არიან. მათ ქართველმა საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო. სტუმრები მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუბრაშვილმა. ჩამოსულებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ნახეს სპორტული ფილმები, იყვნენ მთაწმინდაზე.

იაპონელი ალპინისტები საქართველოში ერთ თვეს დაყოფენ. ამ ხნის განმავლობაში ქართველ მთამსვლელებთან ერთად ავლენ მყინვარწვერზე, ეწვევიან ალპინისტურ ბანაკს „აილამას“.

ს ურ ა თ ზ ე: იაპონელი სტუმრები თბილისში, რუსთაველის გამზირზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲝᲘᲒᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲛᲐ

ბელორუსიის დედაქალაქ მინსკის სპორტის მოყვარულებს ბედმა გაუღიმათ. აქ მიმდინარეობს სტუდენტთა საკავშირო თამაშები, რომელშიც ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობენ. ამავე დროს გაიმართა სსრ კავშირისა და პოლონეთის უძლიერეს მძლეოსანთა მატჩიც.

საბჭოთა და პოლონელი მძლეოსნები უძლიერესნი არიან ევროპაში. მათი ორთაბრძოლები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. ეს შეხვედრა გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა ევროპის ჩემპიონატის წინ. უამინდობის მიუხედავად, მძლეოსნებმა აჩვენეს კარგი შედეგები. ჩინებულ ფორმაშია მსოფლიო რეკორდსმენი პოლონელი ი. კირშენშტეინი. მან 100 მეტრის გაირბენას 11,4 წამი მოანდომა, 400 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო ლ. სამოტოისოვა. მისი შედეგი — 53,7 საუკეთესოა წლეულს ევროპაში. პირველი დღის გმირი მაინც კალინინგრადელი სტუდენტი ე. გუშჩინი იყო, რომელმაც ბირთვი ჰკრა 19 მეტრსა და 46 სანტიმეტრზე. ეს ახალი საკავშირო რეკორდია. ვაჟთა 100 მეტრზე რბენაში პირველობისთვის ბრძოლა გაიმართა ლენინგრადელ ნ. ივანოვსა და პოლონელ ვ. მანიაკს შორის. გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა — 10,3. 5 კილომეტრზე რბენაში ყველას აჯობა ვ. კუდინსკიმ (სსრ კავშირი)— 14.27,0. საინტერესო გამოდგა ქალთა სიგრძეზე ხტომა. აქ პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ სსრ კავშირის რეკორდსმენი ტ. შჩელკანოვა და ი. კირშენშტეინი. პირველი ადგილი დაიკავა შჩელკანოვამ — 6.52 მ. კირშენშტეინის შედეგია 6,36 მ. პოლონელმა სპორტსმენმა ყველას აჯობა 200 მეტრზე რბენაში — 23,2. 110 მ თარჯრბენის ფინიშთან პირველი იყო კი

გამარჯვებულთა ფოლიო

ამ ბოლო წლებში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა სპორტულ ნაგებობათა დათვალიერება-კონკურსები, რასაც სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭო ატარებს.

ახლახან შეჯამდა 1965 წლის კონკურსის შედეგები.

განსაკუთრებული მოწონება ხვდათ წილად ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის, ლენინური კომკავშირის სახელობის ბაქოსა და ტამკენტის „პახტაკორის“ ცენტრალურ სტადიონებს, მინსკის „დინამოს“ სპორტულ კომბინატს და ქალაქ ნორილსკის ზავენიაგინის სახელობის სამთო-მეტალურგიული კომბინატის ფიზკულტურის სახლს, სადაც მაღალ დონეზე დგას მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა. ამ ბაზებს გადაეცათ გარდამავალი წითელი დროშები, სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელები და ფულადი პრემიები.

მეორე ადგილზე გავიდნენ ალმა-ათის, აშხაბადის, ტაშკენტის, რიგის სპორტნაგებობები, მესამე ადგილზე — სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს თბილისის ჩოგბურთის კორტები (დირექტორი ა. ელერდაშვილი). ეს ბაზა ვიმპელითა და სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს სიგელით დაჯილდოვდა.

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს სიგელით დაჯილდოვდნენ თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველო (სამმართველოს უფროსი ნ. პაშიკოვი), ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი (დირექტორი ბ. კანდელაკი), „დინამოს“ სპორტკომბინატი (დირექტორი ბ. პაიჭაძე), ტანვარჯიშული დარბაზი (დირექტორი მ. ვაჭარაძე), სპორტნაგებობათა სამმართველოს საცურაო აუზი (დირექტორი ვ. რურუა), ქალაქ ბათუმის „სპარტაკის“ საცურაო აუზი.

ო. სირაძე.

ასპარეზობდნენ

სოფლის სპორტსმენები

ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე ორ დღეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში. მონაწილეობდნენ: აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ზესტაფონის, ტყიბულის, საჩხერის, ზუგდიდის, მცხეთის, გეგეჭკორის, თელავის, მახარაძის, სიღნაღის, გორის, გურჯაანის, წითელწყაროს, სამტრედიის, გარდაბნის, დუშეთის, წალკის, ლაგოდეხისა და ორჯონიკიძის რაიონების ნაკრები გუნდები.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მიმდინარეობს სტადიონის რეკონსტრუქცია, დირექციამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სარბენი ბილიკები და სახტომი სექტორები წესრიგში ყოფილიყო.

შეჯიბრებაზე აჩვენეს ერთი II თანრიგის, 29 — III თანრიგის და 35 — III თანრიგის ნორმატივები. ქალთა 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა გორელმა ნ. ტალაკინოვამ აჩვენა 13,0 წამი, რაც მეორე თანრიგის ნორმატივია. ამავე მანძილზე ვაჟებში მეორე თანრიგის ნორმა შეასრულა სამტრედიელმა ზ. დარჯანიამ (11,3) და აფხაზეთის გუნდის წევრმა ა. აკრბამ — 11,4. ქალთა სიგრძეზე ხტომა მოიგო ც. ჩოლიაშვილმა (დუშეთი) — 5,45 მ, ბირთვის კვრა — გარდაბნელმა ც. ლიპარტიანმა — 11,26 მ, შუბის ტყორცნა — ისევ ლიპარტიანმა — 40,95 მ.

ვაჟთა სამაღლეზე ხტომაში ი. აშბამ (აფხაზეთი), ი. ბოლქვაძემ და შ. ართმელაძემ (ორივენი — აჭარა) აჩვენეს 185 სმ, რაც მეორე თანრიგის ნორმატივია. ჭოკით ხტომა მოიგო გარდაბნელმა ვ. მიცკევიჩმა — 3,60 მ, 800 მეტრზე რბენა — მახარაძელმა ზ. ხანთაძემ — 2.02,8, სიგრძეზე ხტომა — შ. ართმელაძემ — 6,87 მ.

10.000 და 5.000 მეტრზე რბენაში მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა შეძლო ეჩვენებინა მესამე თანრიგის ნორმატივი. ეს იყო ზუგდიდელი ი. ცანავა. მისი შედეგია 10.000 მეტრზე 35.40,8, 5.000 მეტრზე კი — 16.40,4.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა აჭარის ნაკრებმა (8701 ქულა), II ადგილზეა გარდაბნის რაიონი (7485), ხოლო III აფხაზეთის გუნდი — 7476. მომდევნო ადგილებზე არიან: მახარაძის, ზუგდიდისა და სამტრედიის მძლეოსნები.

ა. ჩანგლაძე.



სურათზე: სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული შ. ართმელაძე.

ფოტო ავტორისა.

ნ ნმინდა გამარჯვება

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ჭიდაობა სამბო. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ არმიელთა ჩემპიონატში 100-ზე მეტმა უძლიერესმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. პირველობისთვის ბრძოლა მეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: გ. კაკიჩაშვილმა, ი. იმერლიშვილმა, ბ. მარიდაშვილმა, თ. არაბულმა, ვ. ქაიხოსროშვილმა, ო. ოგანეზოვმა, გ. კახაბრიშვილმა და რ. მჭედლიშვილმა.

აღსანიშნავია სსრ კავშირის ექს-ჩემპიონის, სპორტის ოსტატ თ. არაბულის წარმატება. მან შეჯიბრების პროცესში 6 შეხვედრა ჩაატარა და ყველა წმინდად მოიგო.

ნ. კოსტავა.

ბენავთობოსნთა ჩემპიონატზე

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის სპორტულ მოედანზე დამთავრდა ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ქალთბურთელთა ტურნირი. ასპარეზობაში მონაწილეობდა 12 კოლექტივი.

ქალთა შორის I ადგილი მოიპოვა ქუთაისის გუნდმა. II ადგილზე გამოვიდნენ ბათუმის ცენტრალური ნავთობგადასატვირთი ბაზის სპორტსმენები, ხოლო III — ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის გუნდი.

ვაჟთა ტურნირში უძლიერესი იყო ქუთაისის კოლექტივი, II ადგილი დაიკავა ბათუმის ცენტრალური ნავთობგადასატვირთი ბაზის კოლექტივმა, რომელმაც ფინალური მატჩი წაგო ქუთაისელებთან ანგარიშით 56:71. III საპრიზო ადგილი წილად ხვდა რუსთავის ქიმიური კომბინატის ქალთბურთელთა კოლექტივს.

ა. ჩიხლაძე.



გოლის შემდეგ...

ფოტოეტიუდი ე. ხაკოვისა.

რიონიდან ლიახვის ხეობაში

მანქანები ქალაქის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის“ წინ მდებარე პარკიდან მწყობრად გავიდნენ...

№ 37 პროფტექნიკური სასწავლებლის ადმინისტრაციის ინიციატივით (დირექტორი ვ. კირთაძე), 72 მოსწავლე-ტურისტმა მდინარე რიონის ხეობით გეზი კურორტ შოვისკენ აიღო.

უკან ჩამოვტოვეთ რიონისა და გუმათის ჰიდროელექტროსადგურები, მუდამ ლურჯად ბობბინე მწვანე ქედებს შორის ჩაძირული ქუთაისის „ზღვა“.

გავიარეთ მექვენა, ტვიში, ალპანა, დავძლიეთ საირმის უფელტეხილიც, გზის მარცხნივ ჩამოვიტოვეთ ალექსანდროულის ჯიშის ღვინოებით განთქმული ტოლა, ჭრებალო, ხვანჭკარა და ამბროლაურში შევედით...

დამის გასათევად შოვის ტურბაზას მივაშურეთ. სტუმართმოყვარულად გვხვდება ბაზის ადმინისტრაცია (დირექტორი მეხრიშვილი). ლამაზი კოტეჯები დაგვითმეს.

დილით ვემშვიდობებით მასპინძლებს. და ონში ჩავდიგართ. ვეცნობით რაიონის ღირსშესანიშნაობებს, ვათვალიერებთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, სადაც გამოფენილი ექსპონატები მნახველს მოუთხრობს რაიონის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

მდინარე ჯეჯორის ხეობის გაყოლიდ ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ფარსადანოვი და რუსეთის ფედერაციის ჩოგბურთელი გოლდენბერგი. ანგარიშით 2:0 (6:2, 6:3) გაიმარჯვა ფარსადანოვმა, რომელსაც მიეკუთვნა კიდეც I ადგილი.

უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის თბილისელმა ხოვანმა II საპრიზო ადგილი დაიკაკუთრა. ფინალში იგი დაამარცხა მოსკოველმა სამოილოვმა — 0:2 (2:6, 3:6).

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა საშუალო ასაკის გოგონათა ფინალური ბრძოლა თბილისელ პაპიანსა და მოსკოველ ფადეევას შორის. თბილისელმა შედარებით იოლად მოიგო I პარტია — 6:2. II პარტიაში ბრძოლა გაგრძელდა. მოსკოველმა სცადა ინიციატივის ხელში აღება, რაც მოახერხა კიდეც და ბრძოლა თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 7:5. ყველაფერი უნდა გადაწყვეტა III პარტიას. მაგრამ აქ ბრძოლას ფაქტიურად ადგილი არ ჰქონია. თბილისელი ჩოგბურთელის უპირატესობა აშკარა იყო. მან „მშრალი“ ანგარიშით მოიგო პარტია (6:0) და მასთან, შეხვედრაც.

საშუალო ასაკის ჭაბუკთა შორის II ადგილი დაიკავა დვალიშვილმა, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა წაგო უზბეკეთის ჩოგბურთელ ცეიგერთან (2:6, 4:6).

უმცროსი ასაკის ჩოგბურთელთა შორის პირველობისთვის მხოლოდ გოგონები იბრძოდნენ. წარმატებით ჩაატარა ტურნირი ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 10 წლის მარინე ელერდაშვილმა (სპორტის ოსტატ ვანო ელერდაშვილის გოგონა), თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მეოთხეკლასელს ბრძოლა მეტწილად მასზე უფროსი ასაკის ჩოგბურთელებთან მოუხდა. ამის მიუხედავად, მან მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა. მაგრამ ნორჩ სპორტსმენს ფინალში გამძლეობამ უმტყუნა (სხვათა შორის, ტურნირის სხვა დანარჩენი მონაწილენი მხოლოდ პირადი პირველობისთვის იბრძოდნენ, მარინე კი გუნდის ინტერესებსაც იცავდა და, როგორც ჩანს, ამ ორმაგმა დატვირთვამ იგი დაღალა) და დამარცხდა ტურჩუნანასთან შეხვედრაში — 2:6, 4:6. მარინე ელერდაშვილმა პირად ჩათვლაში II საპრიზო ადგილი დაიკავა, ეს ნორჩი ჩოგბურთელისთვის უდაოდ დიდი მიღწევაა.

... ...

გულრიფში

„კოლმეურნის“ ფეხბურთელთა 12 გუნდი მონაწილეობდა თასის გათამაშებაში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დრანდის წერეთლის სახელობისა და გულრიფშის „გამარჯვების“ კოლმეურნეობათა გუნდები.

მატჩი მოიგო „გამარჯვებამ“ (2:1), რომელსაც გადაეცა საპატიო ჯილდო. აღსანიშნავია, რომ „გამარჯვების“ კოლმეურნეობის სპორტსმენებს დიდი ხელშეწყობა აქვთ გამგეობის თავმჯდომარის ო. დავითაიას მხრივ.

შ. ჯალაღონია.

იცნოგდეთ:

მარინე ელერდაშვილი!

ჯულიპეზის ქვეყანაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



როდესაც ლაპარაკი ჰოლანდიაზე ჩამოვარდება, უნებლიედ გვახსენდება პოპულარული ჰოლანდიური ყვავილი და ამ ქვეყნის არა ნაკლებად განთქმული ტულიპი. მაგრამ ჰოლანდია ცნობილია თავისი ველოსიპედისტებითაც. მან სპორტულ სამყაროს არა ერთი და ორი სახელმოსაგენელი სპორტსმენი მისცა.

ველოსპორტი ჰოლანდიაში გადაადგილების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ავტომანქანის მფლობელნიც კი ქალაქის ქუჩებში მეტწილად ველოსიპედით დადიან. ამიტომ ჩვენ არ გაგვკვირვებია, რომ თბილისში ფრენბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე მყოფი ჰოლანდიელები ყოველ ცისმარე დღეს „ტურ დე ფრანსისა“ და „ტურ დე ლ'ავენირის“ მომდინარეობის შესახებ გვეკითხებოდნენ. სხვათა შორის, პირველ რბოლაში ჰოლანდიელმა იანსენმა II ადგილი დაიკავა, ხოლო ლ'ავენირში ამ ქვეყნის გუნდი IV ადგილზე გამოვიდა.

ჩვენი სტუმრები და დელეგაციის ხელმძღვანელი — ჰოლანდიის ფრენბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, ქალაქ ჰააგის პოლიციის კომისარი ჰ. სპრეიტი გულისტკივილს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ომარ ფხაკაძე ვერ გაიცნეს თავის შობლიურ ქალაქში. ჰოლანდიელებს კარგად ახსოვთ ომარის გამარჯვება ამსტერდამის ოლიმპიურ სტადიონზე, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონმა უკან ჩამოიტოვა 8 ქვეყნის 20 უძლიერესი სპრინტერი. ჰოლანდიელები კარგად იცნობენ ფხაკაძის სპორტულ ბიოგრაფიას და სწორედ ამიტომ სურდათ მისი ნახვა თბილისში. მსოფლიო ჩემპიონი კი საზღვარგარეთულ ტურნირში იმყოფებოდა. ამის მიუხედავად, ჰოლანდიელი ფრენბურთელებისა და ომარ ფხაკაძის გაცნობა შედგა.

მოსკოვში, შერემეტიევოს აეროპორტში, ამსტერდამისკენ მიმავალი თვითმფრინავის სტარტს ველოდით. რეისი უამინდობის გამო იგვიანებდა. სწორედ ამ დროს, აეროდრომის ბეტონის საფარზე დაეშვა თვითმფრინავი კოპენჰაგენიდან, რომელმაც სხვა მგზავრებთან ერთად სამშობლოში ჩამოიყვანა ო. ფხაკაძე. აი, სწორედ აქ გაიცნეს ჰოლანდიელმა ფრენბურთელებმა ომარი და უსურვეს მას წარმატება მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში.

ომარ ფხაკაძე ერთი შეხედვით დაღლილი და გამხდარი ჩანდა. და მართლაც, ჩემპიონმა გაგვგანდო, რომ იგი ჰოკქანცა 40-დღიანმა ტურნირმ. ამ ხნის განმავლობაში ფხაკაძეს საფრანგეთის, ჰოლანდიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დანიის რვა ტრეკზე მოუხდა გამოსვლა. პრესაში აღნიშნული იყო ფხაკაძის წარმატება პარიზის, ამსტერდამისა და გდრ-ის ველოსტადიონებზე.

გერმანიის ქალაქ გერაში ფხაკაძემ იტალიელებს ტურინისა და ვერზინის მოუგო და საჩუქრად აკორდეონი მიიღო. ერთ-ერთი რბოლის დროს ფხაკაძის მეტოქემ გეშვემ სახიფათო ბიძგს მიმართა. ომარი ვალში არ დარჩა და გერმანელის ბიძგს ბიძგითვე უპასუხა, მაგრამ ჩემპიონი ისეთი ძალით დაეწვა ველოსიპედის საჭრეს, რომ იგი გაღუნა. ამ ცნობას მაყურებელი ოვაციით შეხვდა, რბოლა კი დროებით შეწყდა. ფხაკაძემ ითხოვა თანაგუნდელი ი. ცელოვალნიკოვის საჭე და ისე განაგრძო შეჯიბრება.

უკანასკნელი რბოლა ფხაკაძემ დანიაში გამართა. აქ იგი გამოვიდა კოპენჰაგენის, ოდენზისა და ორხუსის ტრეკზე. დანიაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს „კოპენჰაგენის დიდი პრიზის“ გათამაშება, რომელიც 1908 წლიდან ტარდება. შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის შეხვედებით ბევრ სახელმოსაგენელ ველოსიპედისტს, კერძოდ კი, ს. ბიანკეტოს, ე. საკის, ო. პლატნერს, ს. გაიარდონისა და სხვებს. 1964-65 წლებში „კოპენჰაგენის დიდი პრიზი“ ფრანგმა დ. მორელონმა მოიგო.

და აი, ფრანგი და ფხაკაძე, რომლებიც ერთმანეთს უკვე კარგა ხანია იცნობენ, კვლავ ერთმანეთს შეხვდნენ პრიზისათვის გადამწყვეტ რბოლაში. ფინალამდე მსოფლიო ჩემპიონმა დაამარცხა დანიელი ჰ. ფრედბორდი და ფრანგი ჰ. ტრანტენი. რამდენიმე ხნით ადრე ფხაკაძემ მორელონს ამსტერდამში მოუგო და, ბუნებრივია, ფრანგი რევანშს ლამობდა.

პირველი ცდა მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო, რომელმაც ბოლო 200 მეტრზე 11,7 წამი აჩვენა. II ცდაში ფხაკაძემ კვლავ პირველი პოზიცია აირჩია, რომელიც კოპენჰაგენის ტრეკზე რბოლისას არც ისე ხელსაყრელია. საფინიშო სწორის ბოლოს მორელონი გაუთანაბრდა ფხაკაძეს. მაგრამ ვინ გადალახა საკონტროლო ხაზი პირველმა, არავინ იცოდა. მხოლოდ ფოტოფირის გამეღავნების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ მორელონი რამდენიმე მილიმეტრით წინ ყოფილა ფხაკაძეზე. ამან ფრანგს III დამატებითი ცდის უფლება მისცა. ომარმა არც ამჯერად შესცვალა ტაქტიკა და გამარჯვება, ასევე უმნიშვნელო უპირატესობით, მორელონს დარჩა.

იბადება კითხვა, რატომ მიმართა ფხაკაძემ ამ რბოლაში სამჯერ მისთვის ნაკლებად ხელსაყრელ პირველ პოზიციას? მსოფლიო ჩემპიონი ამ შეკითხვაზე ასე პასუხობს: „ზემოაღნიშნულ ტურნირში საკმაოდ დავიშუშავე II პოზიციიდან ფინიში, მაგრამ კიოლნის ტრეკზე, სადაც მსოფლიო პირველობა ჩატარდება, ძალზე ძნელია პირველი პოზიციიდან ფინიში. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ყველა შეჯიბრებაში ჩემთვის ნაკლებად გამოსადეგი პირველი პოზიციიდან ბრძოლა.

3 დღის შემდეგ ფხაკაძემ „ოდენსეს დიდი პრიზი“ მოიგო. აქ მან უკვე მეოთხედფინალში დაამარცხა მორელონი, ფინალში კი ადვილად მოუგო დანიელ ინგსტრუპს. სხვათა შორის, სწორედ ინგსტრუპმა მოუსპო ფხაკაძეს 1963 წლის მსოფლიო პირველობაზე შემდგომი ბრძოლის უფლება და ფინალის მიღმა დატოვა.

სპრინტის გარდა, ომარი სხვადასხვა განდიკაპშიც მონაწილეობდა. ამ შეჯიბრებებში მსოფლიო ჩემპიონი თავის მეტოქეებს 5-დან 80 მეტრამდე ფორას აძლევდა. განდიკაპი დიდი პოპულარობით სარგებლობს ველოსპორტის მოყვარულთა შორის. ერთ-ერთ შეჯიბრებაში დიქტორმა ასე გამოაცხადა: „ახლა სტარტს აიღებს ფხაკაძე 10 „ნეგრიტოსის“ წინააღმდეგ“. „ნეგრიტოსებს“ უწოდებენ ადგილობრივ ველოსიპედისტებს, რომლებსაც ფხაკაძე სხვადასხვაგვარ ფორას აძლევდა. რბოლა განდიკაპით მსოფლიო ჩემპიონისთვის კარგი ვარჯიში იყო. ფხაკაძე, როგორც წესი, ყველა მეტოქეს ამარცხებდა.

მაგრამ ჩემპიონს ნელ-ნელა დაღლილობა დაეტყო. მას უკვე აღარც სურდა შეჯიბრებაში გამოსვლა, მაგრამ ორგანიზატორები არ ეშვებოდნენ — შემოსავალს მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონის გამოსვლა იძლეოდა. ასე ძალდატანებით გამოვიდა იგი ორხუსში, სადაც წააგო ნასეგარფინალური რბოლა ტრანტენთან. შემდგომში მან დაამარცხა ფრედბორგი და საერთო III ადგილი დაიპაკუთრა.

სამშობლოში დაბრუნების წინ ფხაკაძეს კვლავ თხოვეს კოპენჰაგენში გამოსვლა. ჩემპიონმა თავდაპირველად უარი თქვა, მაგრამ შემდეგ, ყურად იღო ველოსპორტის მოყვარულთა თხოვნა და განდიკაპს დათანხმდა. აქ მან კიდევ ერთხელ გააოცა სპეციალისტები. ვირაჟზე ზედა პოზიციიდან მან ერთბაშად 8 ველოსიპედისტს გაუსწრო.

ომარს ძალზე ოპტიმისტური გეგმები აქვს. მან უკვე დაისვენა რამდენიმე დღე და ახლა სსრ კავშირის ჩემპიონატში გამოსვლისთვის ემზადება. აგვისტოში იგი კიდევ ერთხელ დაისვენებს, ხოლო შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისს შეუდგება. შეკითხვაზე, თუ ვინ იქნება მისი მთავარი კონკურენტი კიოლნში, ფხაკაძემ უპასუხა — მორელონი.

მომდინარე წელს ფხაკაძე და მორელონი ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, 4-ჯერ გაამარჯვება მსოფლიო ჩემპიონის მხარეს იყო, 2-ჯერ კი რბოლა ფრანგმა მოიგო. მაგრამ მათი შეხვედრების საერთო ანგარიშია ნ.ნ. ეტაპს გარეშე, რომ ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონატზე დაძაბული და შეუპოვარი იქნება.

მ. ბარამია.

* * *

სურათზე თქვენ ხედავთ ფხაკაძისა და მორელონის ფოტოფინიშს. ფოტოზე კარგად ჩანს ის უმნიშვნელო უპირატესობა, რისთვისაც გამარჯვება ფრანგ ველოსიპედისტს მიეკუთვნა.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

„ე“ კლასი I ჯგუფი

მოსკოვი, 27 ივლისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) და ასკ (ოდესა).

გამარჯვეს რკინიგზელებმა—2:0.

მოზარდთა ტურნირი

კოპენჰაგენი (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი გუნდების საკავშირო გათამაშების ხახვევიფინალურ ჯგუფში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ლოკომოტივი“ და ცსკა. უაღრესად დაძაბული ბრძოლა დამთავრდა არმიელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 1:0. მაგნიტოგორსკს „მეტალურგმა“ და კიროვოგრადის „ზვეზდამ“ ითამაშეს ფრედ — 0:0.

ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა ცსკა-მ.

თ. ქოგულაძე.

გათამაშების ცხრილი

„ე“ კლასი II ჯგუფი

მდგომარეობა 28 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფალგირისი“ (ვილნიუსი)	18	11	4	3	33—15	26
„ეშგანი“ (ერევანი)	18	7	8	3	21—9	22
„ტექსტილშვეიცარი“ (ივანოვო)	17	8	6	3	25—15	22
„დინამო“ (კიროვაბადი)	17	6	8	3	17—10	20
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	18	6	8	4	23—19	20
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	18	8	4	6	23—21	20
„თერგი“ (გროზნო)	18	6	8	4	14—16	20
„დაუგავა“ (რიგა)	17	7	5	5	25—16	19
„რეგინი“ (ულანი)	17	7	4	6	15—15	18
„ბალტიკა“ (კალინინგრადი)	17	5	7	5	10—14	17
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	18	5	6	7	12—17	16
„დინამო“ (ბათუმი)	18	6	3	9	19—25	15
„როსტელმაში“ (როსტოვი)	18	4	7	7	16—23	15
„დინამო“ (სტავროპოლი)	17	5	5	7	9—15	15
„სპარტაკი“ (გომელი)	18	4	7	7	9—18	15
„დინამო“ (ტალინი)	18	3	5	10	13—20	11
„შირაკი“ (ლენინაკანი)	18	1	7	10	12—28	9

სსრ კავშირის თასზე

სოხუმი (ტელეფონით). აქ გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი. თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და კიროვაკანის „ლოკომოტივი“. შეხვედრა ორივე გუნდმა ულამაზესად დაიწყო, რის გამოც თამაში მოედნის შეუგულს არ გაცილებია. მაგრამ თანდათან გაიქტიურნენ მასპინძლები, რომლებმაც რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს. 35-ე წუთზე სოხუმელთა თავდასხმელმა გაგუამ ზუსტად გადაუწოდა ბერთი გადელიას, რომელმაც ფანლეტებით 20 მეტრიდან ზუსტად და ძლიერად დაარტყა კარის დაბალ კუთხეში. მასპინძლებს ამის შემდეგაც ჰქონდათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი: ისინი თამაშობდნენ უფრო მონდომებით და გაამზრებულად, მაგრამ ანგარიშის შეცვლა ვერ შეძლეს.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა ერთგვარად მოადუნეს ყურადღება. ამით კარგად ისარგებლეს კიროვაკანის თავდამსხმელებმა, გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რომელიც კარში ზუსტი დარტყმით დაგვირგვინა გრიგორიანმა. ანგარიში გათანაბრდა — 1:1. ეს მოხდა მატჩის 47-ე წუთზე.

გატანილმა გოლმა სოხუმელი ფეხბურთელები გამოაფხიზლა. მათ ენერგიულად შეუტიეს მეტოქის კარს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ ფორვარდების დარტყმები მიზანს არ აღწევდა. შეხვედრის ძირითადი დრო ამოიწურა — 1:1.

დაინიშნა დამატებითი დრო. აქ კი მასპინძელთა უპირატესობა უკვე აშკარა გახდა. 92-ე წუთზე გაგუამ ძლიერი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი. გაიმარჯვა „დინამომ“ — 2:1.

ზ. ჯალაღონია.

ხუთი ქვეყნის ხუთჯიდელთა შეჯიბრება

მოსკოვსაწლო მდებარე პლანერნაიას სადგურის სპორტულ ბაზაზე დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ხუთჯიდში, რომელშიც გამოდიან უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ფინეთისა და სსრ კავშირის 9 ქალაქის გუნდები.

ასპარეზობაში არ მონაწილეობს ცნობილი უნგრელი სპორტსმენი ა. ბალეცა, იგი მოსკოვში ჩამოსვლამდე ავად გახდა. მიუხედავად ამისა, უნგრეთის გუნდი, რომელსაც ხელძღვანელობს ო. ტეორეოკი, მძლავრ ძალას წარმოადგენს. შეეცის ნაკრებშია იუნეორთა შორის მარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი ფარიკაობაში ე. იაკობსონი.

პირველი სახეობაში — ცხენსასნურ კროსში თორმეტმა მონაწილემ დააგოვა 1000 ქულაზე მეტი. პირად ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა უნგრეთის პირველი გუნდის წევრი ი. მოცარი. მან 1500 მეტრიანი დისტანციის გაკლას 3 წუთი და 34,7 წამი მოანდომა. საბჭოთა სპორტსმენებიდან ყველაზე უკეთ გამოვიდა ვ. ზახარჩენკო (სომხეთის ნაკრები). იგი მეოთხე იყო.

პირველი სახეობის შემდეგ ლიდერობს უნგრეთის გუნდი.

სულიერული საფეხ...

◆ **ტულა, 27 ივლისი.** აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატი ტრეკზე ველოსპორტში. წინასწარ შეჯიბრებაზე 4 კმ-ზე გამოეევნებით რბოლაში შესანიშნავი დრო აჩვენა ლენინგრადელმა ს. მოსკვინმა—4.58,8.

◆ **ლაიპციგი, 27 ივლისი.** „მფრინავ“ სპორტსმენთა მსოფლიო პირველობაზე სნაიპერული შედეგით დაამთავრა 1000 მეტრ სომაღლიდან სიზუსტეზე დაშვება ოთხმა საბჭოთა პარაშუტისტმა — ბურდუხოვმა, კრესტიანიკოვმა, გურომ და ტკაჩენკომ. ისინი ზუსტად წრეში „დაფრინდნენ“.

შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ საბჭოთა პარაშუტისტი ქალები VII ადგილზე არიან. ლიდერობენ უნგრელი სპორტსმენები.

◆ **ბუდაპეშტი, 27 ივლისი.** ჩვენი ახალგაზრდა ფრენბურთელები წარმატებით განაგრძობენ გამოსვლას ევროპის I ჩემპიონატში. ჯგუფებმა ფინალურ ჯგუფში ერთნაირი ანგარიშით — 3:0 ძლიეს ბულგარეთისა და რუმინეთის ნაკრები. ჭაბუკებმა მოუგეს რუმინელებსა (3:0) და უნგრელებს (3:0).

საეტიუდო იდეები და საჭადრაკო პარტია

საჭადრაკო კომპოზიცია მჭიდროდაა დაკავშირებული პრაქტიკულ თამაშთან, განსაკუთრებით, ენდშპილთან. როგორც ცნობილია, ბევრი ლამაზად გათამაშებული პარტიის იდეა კომპოზიტორებს მაღალმხატვრული ეტიუდის შინაარსად გაუხდია. თავის მხრივ, არც საეტიუდო კომპოზიცია დარჩენილა ვალში. მისი იდეების ცოდნით ბევრი ოსტატი გადაურჩა წაგებას.

ერთხელ ავსტრიელმა დიდოსტატმა შლეპტერმა პატის იდეაზე საინტერესო „მახე“ დაუგო თვით მ. ჩიგორინს (ოსტენდი, 1905 წ.).

თეთრები: მფa5, ლd4, პპ. a4, b5, f5, h4.

შავები: მფb8, ლc8, პპ. f6, f7, h5.

ჩიგორინს (თეთრები) შეეძლო ამ პარტიის მოგება ლაბიერების გაცვლით. ამიტომ შლეპტერმა დაიწყო პატის „ბადის მოქსოვა“. მის სვლას 1. ... ლc7+ ჩიგორინმა სწრაფად უპასუხა 2. ლb6+? (ლაზიერის გაცვლის შემდეგ ხომ მოგება ნათელია!), რაზეც შლეპტერმა 2. ... მფa8! ითამაშა და მოულოდნელად საყიმო პოზიცია შეიქმნა. ახლა არ შეიძლება 3. ლ:c7 პატის გამო, ხოლო თუ 4. მფa6, მაშინ 4. ... ლc8+ 5. მფa5 ლc7 და ყაიმია სვლების გამეორებით.

ამ საპატო იდეაზე მომხიბლავი ეტიუდი შეადგინა გამოჩენილმა ლატვიელმა ეტიუდისტმა გ. მატესონმა.



თეთრები იწყებენ და აღწევენ ყაიმს

მოხდენილი შესავალი თამაშის შემდეგ: 1. a4+ მფb6 2. კf2 c1ლ 3. ე:c5 ლ:c5 4. მფh1! (ამ სვლას თამამად შეიძლება ეწოდოს შლეპტერის მანევრი. არ შეიძლება 4. კ:c5+ მფ:c5 და შავები იგებენ) 4. ... ლ:f2 პატი.

საჭადრაკო კომპოზიციაში პატის კარგად ცნობილი იდეის წყალობით მეტად მძიმე პოზიცია გადაარჩინა დიდოსტატმა ტეიხმანმა. აი, ეს საინტერესო დაბოლოება.

თეთრები: მფd2, მc2, პპ. h5, e6. შავები: მფg7, ეb1, პ. a2.

ტეიხმანი (თეთრები) გონებამახვილურად იყენებს პატის იდეას: 1. h6+ მფ:h6 2. e7 ეb8 3. მფc1 მფg7 4. e8ლ ე:e8 5. მფb2 ეe2 6. მფa1 ე:c2. პატი.

ჩვენი ქვეყნის XXIX ჩემპიონატში სპასკის („შავების“) გამოვიჩინა უარესი [illegible]



აქ მან ვერ მიაგნო პატის იდეას, რომელიც გამოდიოდა შემდეგი სვლებით: 1. ... კa8! 2. h5 მფe5 3. მფ:e3 მფf5 4. მფd4 მფg5 5. მფe5 მფ:h5 6. b4 მფg6 7. მფe6 c6 8. მფd7 მფf7 9. მფc7 მფe7 10. მფb8 მფd7 11. მფ:a8 მფc7 პატი. სპასკის ითამაშა 1. ... კb7? 2. h5 მფe5 3. b4 მფf5 4. მფe3 კc6 5. მფd4 მფf6 6. h6 და დანებდა, ვინაიდან თეთრი მეფე შედის შავების განლაგებაში და იმარჯვებს.

ზემომოყვანილი მაგალითები გვიკარნახებს: პრაქტიკოსი მოჭადრაკისთვის ისევე სასარგებლოა საეტიუდო იდეების ცოდნა, როგორც საჭადრაკო კომპოზიტორებისთვის ოსტატთა პარტიების გულდაგულ განხილვა.

ვ. კალანდაძე,
საჭადრაკო ეტიუდისტი.

ინგლისური საქონლის ავსტრალიური რეკლამა



ავსტრალიელმა გოგონებმა დიდი მანძილი დაფარეს, რომ მელბურნიდან ლონდონს სწვეოდნენ.

ინგლისის დედაქალაქში ისინი სიამაყის გრძნობითა და იმედებით მიდიოდნენ. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ავსტრალიელებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ მსოფლიოს ჩოგბურთელთა არაოფიციალურ პირად პირველობაში — უიმბლდონის ტურნირში.

მართალია, ამ ტურნირში ვერც ერთმა მათგანმა ვერ ისახელა თავი, მაგრამ ასეთ დიდ, საქვეყნოდ აღიარებულ ჩემპიონატში მონაწილეობაც კი უკვე საპატიო საქმეა. მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, ავსტრალიელ გოგონებს ბედმა გაუღიმა. სათნო სახის და კოხტა აღნაგობის ავსტრალიელებს ყურადღება მიაქცია „დერი და ტომის“ ფირმის აგენტმა. ბრიტანეთის კუნძულებზე ეს საკმაოდ პოპულარული ფირმა საგალანტერიო საქონლის გარდა ამზადებს სპორტულ ფორმას, კერძოდ კი, ჩოგბურთელთა ტანსაცმელს. ფირმამ გოგონებს სარეკლამო კონტრაქტი დაუდო. თავის ქვეყანაში პოპულარული ჩოგბურთელები, ერთბაშად „მანეკენებად“ გადაიქცნენ. ამ „გარდაქმნაში“ მათ საკმაოდ სოლიდური თანხა მიიღეს.

* * *

სურათზე: 3 ავსტრალიელი გოგონა — მალვილი, კრანტცკე და შახტი ახალი საჩოგბურთო ტანსაცმლის დემონსტრაციას ახდენენ.

ჯანი მოტას „ოქროს ხანა“

პროფესიონალი ველოსიპედისტები არ ატარებენ მსოფლიო პირველობას მრავალდღიან ველორბოლაში. სამაგიეროდ, მათ აქვთ რამდენიმე „ტური“, რომლებიც თავისი მნიშვნელობით მსოფლიო პირველობის ტოლფასია. პირველი ასეთი შეჯიბრებაა „ტურ დე ფრანსი“ — საფრანგეთის მრავალდღიანი ველორბოლა, რომელიც როგორც წესი, მსოფლიოს ყველა უძლიერეს ველოსიპედისტს იზიდავს. მეორე მნიშვნელობის ველორბოლა „ჯირო იტალიაა“. იგი ტრადიციულად „ტურ დე ფრანსის“ წინ ტარდება და მსოფლიო არაოფიციალური პირველობისთვის „ფავორიტებს“ არჩევს.

წლევანდელ „ჯიროში“ ყველა სახელგანთქმული ველოსიპედისტი მონაწილეობდა ლეგენდარულ ჟაკ ანკეტილის მეთაურობით. ჟაკ ანკეტილი „ჯიროზე“ დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ რბოლის ფინიშზე, მთელი რიგი წარუმატებელი სტარტების შემდეგ, მან განაცხადა: „ჯირო იტალია“ ჩემთვის წვრილია იყო. მაქსიმალურად „ტურ დე ფრანსში“ ვიბრძოლებო. ანკეტილმა თავისი სიტყვა ვერ შეასრულა და საბოლოოდ „ტურ დე ფრანსი“ არც დაამთავრა.

„ჯიროში“ კი გაიმარჯვა იტალიელმა ჯანი მოტამ, რომელსაც თქვენ ამ სურათზე ხედავთ. მოტამ ამ წარმატებით ფაქტიურად უზრუნველყო თავისი მომავალი. რბოლის შემდეგ იგი იტალიაში ყველაზე ძვირადღირებული ველოსიპედისტი გახდა. „ჯიროს“ ჩემპიონს სხვადასხვა სარეკლამო ფირმამ „მეგობრული ხელი“ გაუწოდა. იტალიელის ცხოვრებაში ახალი, „ოქროს ხანა“ დაიწყო.

ფავორიტთა დუეტის მძლეველი

ეს შეჯიბრება გაიმართა ლონდონში, „უაიტ სიტის“ სტადიონზე. 5.000 მეტრზე რბენის სტარტზე გამოვიდნენ მსოფლიოს უძლიერესი სტაიერები, მათ შორის ტუნისელი გამუდი და ავსტრალიელი კლარკი. სპეციალისტები გამარჯვებას სწორედ ამ „დუეტს“ უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ მოხდა ისე, რომ ფინიშთან პირველი ტუნისელი ან ავსტრიელი მძლეოსანი კი არ მივიდა, არამედ იაპონელი სავაკი.

მიუხედავად იმისა, რომ სავაკიც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სტაიერად ითვლება, მისი გამარჯვება მძლეოსნურ წრეებში სენსაციად მიიჩნიეს, მაგრამ იაპონელმა ეს წარმატება ძნელ და საპატიო ბრძოლაში მოიპოვა. საფინიშო ხაზის გადაკვეთის შემდეგ მძლეოსანს მუხლები მოეკვეთა და რომ იქვე, მის მახლობლად, არ მდგარიყო იაპონელის მწვრთნელი, იგი უეჭველად დაეცემოდა.

SPORTOWIEC

სავაკიმ დისტანცია 13.36,2 გაირბინა. II ადგილი შეჯიბრებაში წილად ხვდა ტუნისელ მძლეოსანს (13.36,4), ხოლო III—უნგრელ მესერს. რონ კლარკი ამჯერად პრიზიორთა მიღმა დარჩა.

* * *

სურათზე: ღონემიხდილი და ბედნიერი სავაკი ფინიშის შემდეგ.

ტრადიციის აღდგენა

პოლონეთის ჭადრაკის ფედერაციამ გადაწყვიტა აღადგინოს ქ. პოლანიცა-მაზდრეის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირების გამართვის ტრადიცია. წლევანდელი ტურნირი მოეწყობა 7-27 აგვისტოს.

ტურნირში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს დიდოსტატებმა სმისლოვმა (სსრ კავშირი), ლენდიელმა (უნგრეთი), რობაჩმა (ავსტრია), პადევსკიმ (ბულგარეთი), დამიანოვიჩმა (იუგოსლავია), საერთაშორისო ოსტატებმა სმედერევაცმა (იუგოსლავია), კლიუგერმა (უნგრეთი), ნეიკირხმა (ბულგარეთი) და ფიხტლმა (გდრ). ტურნირში ითამაშებენ აგრეთვე პოლონელი ოსტატები დოდა, ნავაროვსკი, ბედნარსკი და სხვები.

▲ **ზენიცა** (იუგოსლავია). აქ გამართულ წყალში მტბომელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობდნენ პოლონეთის, იტალიის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის სპორტსმენები, ყველას აჯობა ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა იტალიელმა კ. დიბიასიმ. იგი პირველი იყო 3-მეტრიან ტრამპლინიდან და 10-მეტრიან კოშკიდან ხტომაში. კარგად გამოვიდა პოლონელი სპორტსმენი ე. კოვალევსკიც. გუნდურ პირველობაზე ყველას აჯობეს იტალიელებმა.

▲ **სირაკუზი** (იტალია). 3 ქვეყნის — იტალიის, ესპანეთისა და ფინეთის მოცურავე ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ესპანელებმა. მონცომ (ესპანეთი) გაუმჯობესა თავისი ქვეყნის რეკორდი 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში — 2.16,9. იგი თავისი გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა, რომელმაც ეროვნული რეკორდი დაამყარა თავისუფალი სტილით 4×100 მ ესტაფეტაში. — 3.45,5.

▲ **გუდაკეშტი**. უნგრეთის მოცურავეთა ჩემპიონატზე ცნობილმა სპორტსმენმა ქალმა ი. ტუროციმ დაისაკუთრა 5 ოქროს მედალი. დამყარებულ იქნა ეროვნული რეკორდები 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში (ი. ტუროცი) — 2.33,0, 100 მეტრზე ბრასით ცურვაში (ფ. ლენჯანი) — 1.10,7.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66148 სპ. ლ ცკ-ის გამომცემლობის ჭილიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეი 04992